ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება SGHI-1000785/15

(სამმხრივი)

თბილისი **17 აპრილი 2015 წელი**

ერთი მხრივ, **სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“**, (შემდგომში „მზღვეველი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204919008) წარმოდგენილი **გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორის დიმიტრი დათუსანის** მიერ *(თანახმად ნოტარიუსი ირმა შარვაძის მიერ 2014 წლის 31 ივლისს დამოწმებული რწმუნებულებისა, სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის ნომერი: 140806776 სანოტარო მოქმედებათა ინდივიდუალური ნომერი: 91472632215014),* მეორე მხრივ, **დანართ #3-ში მითითებული პირ(ებ)ი** (შემდგომში „დამზღვევ(ებ)ი) და მესამე მხრივ **შპს სარაგბო კლუბი ბათუმი** (შემდგომში „დამსაქმებელი“, საიდენტიფიკაციო ნომერი 445393495), წარმოდგენილი დირექტორის, **რუსლან რუსიძის** მიერ (შემდგომში სამივე ერთად „მხარეებად“ მოხსენიებულნი, ხოლო ცალ-ცალკე „მხარედ“), ვდებთ წინამდებარე ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ტერმინის განმარტება:**

დაზღვევის ხელშეკრულება - წინამდებარე ჯანმრთელობის **დაზღვევის ხელშეკრულებით** და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას და ფორმდება **მზღვეველს, დამსაქმებელსა** და **დამზღვევ(ებ)ს** შორის;

2. **ხელშეკრულების საგანი:**

2.1 წინამდებარე **დაზღვევის ხელშეკრულება** და მისი დანართები არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა **მზღვეველს, დამსაქმებელსა** და **დამზღვევ(ებ)ს** შორის **დაზღვევის ხელშეკრულებით** და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

2.2 წინამდებარე **დაზღვევის ხელშეკრულებით** და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, **მზღვეველი** ვალდებულია, შესაბამისი **სადაზღვევო პრემიის** მიღების სანაცვლოდ, **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას უზრუნველყოს **დაზღვეული პირ(ებ)ისთვის დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;

3. **ხელშეკრულების კონკრეტული პირობები:**

*(წინამდებარე **დაზღვევის ხელშეკრულების** ის პუნქტ(ებ)ი, რომელიც არ არის შევსებული, ანუ მონაცემ(ებ)ის მაგივრად მითითებულია ნიშანი "ტირე", არ მოქმედებს **დამზღვევ(ებ)თან** მიმართებაში).*

3.1 **პროდუქტის ტიპი**- 3*

3.2 **ხელშეკრულების მოქმედების ვადა (საერთო სადაზღვევო პერიოდი)**- დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 17 აპრილის 24:00 საათიდან და მოქმედებს 2016 წლის 17 იანვრის 24:00 საათამდე;

3.3 **ოჯახის წევრ(ებ)ი (დაზღვევას დაქვემდებარებული პირ(ებ)ი)** -

3.4 **მოცდის პერიოდი** -

3.5 **ასაკობრივი შეზღუდვა** - დამსაქმებელთან შრომით ურთიერთობაში მყოფი სპორტსმენები 65 (სამოცდახუთი) წლის ასაკამდე;

3.6 **სამედიცინო დაწესებულება** - საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი დაწესებულება, რომელსაც საქართველოს **კანონმდებლობის** შესაბამისად მინიჭებული აქვს/გააჩნია სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება. აგრეთვე, საზღვარგარეთ მკურნალობის დაფარვის მიზნებისათვის - საზღვარგარეთ მოქმედი **სამედიცინო დაწესებულება,** რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება;

3.7 **ტერიტორიული ლიმიტი (სადაზღვევო დაფარვის არეალი)** - ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვებისათვის - საქართველოს ტერიტორია (გარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისა), სამოგზაურო დაზღვევის შემთხვევაში - სამოგზაურო დაზღვევის პოლისში მითითებული ტერიტორიული არეალი/ქვეყანა;საზღვარგარეთ მკურნალობის დაფარვის მიზნებისათვის - მსოფლიო;

3.8 **უბედური შემთხვევის დაზღვევა**-

3.9 **სიცოცხლის დაზღვევა** -

3.10 **დაზღვევის პირობების ცვლილებების წესი** - დამსაქმებელსა და ახალმიღებულ სპორტსმენს შორის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, შესაძელებელია ახალი დამზღვევის/დაზღვეულის დამატება;

მზღვეველი_____ დამსაქმებელი_____

3.11 **დაზღვეულთა რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში სადაზღვევო ლიმიტ(ებ)ის დაანგარიშების წესი** - თუ **დაზღვეულის** დამატება მოხდება:

ა) დაზღვევის ხელშეკრულების (საერთო სადაზღვევო პერიოდის) ძალაში შესვლიდან პირველი 3 (სამი) თვის განმავლობაში, **დაზღვეულს** შესაძლებლობა ექნება, ისარგებლოს **ბარათით** განსაზღვრული სრული (100%) სადაზღვევო ლიმიტებით;

ბ) დაზღვევის ხელშეკრულების (საერთო სადაზღვევო პერიოდის) ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ექვსი თვისა, **დაზღვეულს** შესაძლებლობა ექნება, ისარგებლოს **ბარათით** განსაზღვრული სრული სადაზღვევო ლიმიტების 70%-ით (სამოცდაათი პროცენტი);

გ) დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში, **დაზღვეულს** შესაძლებლობა ექნება, ისარგებლოს **ბარათით** განსაზღვრული სადაზღვევო ლიმიტების 40%-ით (ორმოცი პროცენტი);

4. *წინამდებარე **დაზღვევის ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით **დამსაქმებელი** და **დამზღვევ(ებ)ი** აცხადებენ, რომ გაცნობილნი არიან **დაზღვევის ხელშეკრულების** ყველა დანართს და სრულად ეთანხმებიან მის პირობებს*

4.1 დანართი #1 - დაზღვევის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები;
4.2 დანართი #2 - სადაზღვევო დაფარვების, მომსახურების მიღების, ანაზღაურების გაცემის პირობები და ბარათის ტიპები;
4.3 დანართი #3 - ინფორმაცია დამზღვევების, დაზღვეულების, სადაზღვევო პრემიის ოდენობისა და ბარათის ტიპის შესახებ;
4.4 დანართი #4 - სადაზღვევო პრემიის (შესატანის) ოდენობა და მისი გადახდის წესი;
4.5 დანართი #5 - მზღვეველის კონტრაქტორი/პროვაიდერი დაწესებულებების სია;

5. **მხარეთა ხელმოწერები:**

მზღვეველი:
იურიდ. და ფაქტ. მის.: თბილისი, ყაზბეგის ქ. #3-5
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204919008
მომსახურე ბანკი:
სს „საქართველოს ბანკი"-ის ცენტრალური ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE53BG0000000316632300GEL
ბანკის კოდი: BAGAGE22
ტელ.:(995 32) 2922222
ელექტრონული ფოსტა:
retail_support@imedil.ge
ggorjoladze@imedil.ge

დამსაქმებელი:
იურიდ. მისამართი: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. #25
ფაქტ. მისამართი: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. #25

საიდენტიფიკაციო ნომერი: 445393495;
მომსახურე ბანკი: სს "ვითიბი ბანკი"
ანგარიშის ნომერი:
GE07VT5500000000133408
ბანკის კოდი: UGEBGE22
ტელ.:(+995) 568 621001
ელექტრონული ფოსტა:
Zece-777@mail.ru

დამზღვევები:
იხ.დანართი #3

დიმიტრი დათუსანი _____
გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი

რუსლან რუსიძე _____
დირექტორი

მზღვეველი_____ დამსაქმებელი_____

დაზღვევის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

1. **ტერმინთა განმარტებები:**

თუ ჯანმრთელობის **დაზღვევის ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, **დაზღვევის ხელშეკრულებაში** ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებაში/ებში ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ექნება შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 **დამზღვევი** - პირი, რომელიც აფორმებს **დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან**;

1.2 **მზღვეველი** - სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204919008);

1.3 **დამსაქმებელი** - პირი, რომელიც **დაზღვევის ხელშეკრულების** საფუძველზე ორგანიზებას უწევს **დამზღვევის/დამზღვევთა** მიერ **სადაზღვევო პრემიის** გადახდას და **მზღვეველის** მიერ **სადაზღვევო პრემიის** მიღებას და რომელიც, ამავდროულად წარმოადგენს **დამსაქმებლის**/დამკვეთის სახით **დამზღვევ(ებ)თან** შრომით/მომსახურების/სასამსახურო ურთიერთობაში მყოფ პირს;

1.4 **დაზღვეული** - პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული დაზღვევა;

1.5 **მოსარგებლე** - პირი, რომელიც **დაზღვევის ხელშეკრულების** და/ან **კანონმდებლობის** შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

1.6 **დაზღვევის პირობები** - **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობები, რომელიც განსაზღვრავს **სადაზღვევო დაფარვის** პირობებსა და მისი განხორციელების წესებს;

1.7 **სადაზღვევო რისკი** - მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა.

1.8 **სადაზღვევო დაფარვა** - **დაზღვევის ხელშეკრულების** პირობების თანახმად **სადაზღვევო ანაზღაურებას** დაქვემდებარებული სამედიცინო მომსახურება/**სადაზღვევო რისკი**;

1.9 **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხის ოდენობა, რომელსაც **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას **მზღვეველი** უხდის **დამზღვევს/დაზღვეულს დაზღვევის ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად;

1.10 **თანაგადახდა** - **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პროცენტული წილი, რომლის გადახდასაც უზრუნველყოფს თავად **დაზღვეული**;

1.11 **დაზღვევის განაცხადი** - **დაზღვევის ხელშეკრულების** დადების მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით დასაზღვევი პიროვნების/უფლებამოსილი პირის მიერ შესავსები სამედიცინო კითხვარი, რომლის საფუძველზეც **მზღვეველის** მიერ ხდება **სადაზღვევო რისკის** შეფასება;

1.12 **საიდენტიფიკაციო ბარათი** - **ბარათი**, რომელსაც ფლობს **დაზღვეული დაზღვევის ხელშეკრულების** საფუძველზე და რომელიც ასახავს მის სასარგებლოდ განხორციელებულ, **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ, **სადაზღვევო დაფარვებს**;

1.13 **ინდივიდუალური ბარათი** - **ბარათი**, რომლის ღირებულების (**სადაზღვევო პრემიის**) **მზღვეველის** მიერ მიღების სანაცვლოდ ხორციელდება მხოლოდ ერთი პირის დაზღვევა.

1.14 **საოჯახო ბარათი** - **ბარათი**, რომლის ღირებულების (**სადაზღვევო პრემიის**) **მზღვეველის** მიერ მიღების სანაცვლოდ ხორციელდება ორი ან მეტი პირის დაზღვევა.

1.15 **საბაზისო ბარათი** - **დამსაქმებლის/დამზღვევის** თანამშრომლისათვის განკუთვნილი **ბარათი**, რომლის შესაბამის **სადაზღვევო შესატანს (პრემიას)** სრულად იხდის **დამზღვევი**;

1.16 **დაზღვევას დაქვემდებარებული პირები** – **სამმხრივი ხელშეკრულების** შემთხვევაში - **დამზღვევ(ებ)ი** და მისი/მათი **ოჯახის წევრ(ებ)ი**, ხოლო **ორმხრივი** და **ორმხრივი თანაგადახდით** ხელშეკრულებების შემთხვევაში - **დამზღვევთან** შრომით/მომსახურების/სასამსახურო ურთიერთობაში მყოფი პირ(ებ)ი და მისი/მათი **ოჯახის წევრები**;

1.17 **ოჯახის წევრი** - მეუღლე და შვილ(ებ)ი/გერ(ებ)ი, **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ასაკობრივი შეზღუდვ(ებ)ის** გათვალისწინებით;

1.18 **ასაკობრივი შეზღუდვა** – **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ასაკობრივი ზღვარი, რომელიც განსაზღვრავს **ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის** ძალაში შესვლის თარიღისათვის **დაზღვეულის** შესაძლო მინიმალურ და/ან მაქსიმალურ ასაკს, რათა **დაზღვევის ხელშეკრულების** მიზნებისათვის პირი მიჩნეული იქნას **დაზღვევას დაქვემდებარებულად**;

1.19 **სადაზღვევო შემთხვევა** - **სადაზღვევო დაფარვით** გათვალისწინებული **სადაზღვევო რისკის** ხდომილება (სამედიცინო მომსახურების მიღების საჭიროება და/ან ასეთის მიღება **დაზღვეულის** მიერ), რომელიც წარმოშობს

მზღვეველი:_____ დამზღვევი/დამსაქმებელი:_____

1.34 **საერთო გამოუმუშავებელი პრემია – საერთო სადაზღვევო პერიოდის** შიგნით აღებული კონკრეტული თარიღისათვის სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამის გამოუმუშავებელ პრემიას შეადგენს **ინდივიდუალური გამოუმუშავებელი პრემიების** ჯამი;

1.35 **მოცდის პერიოდი** – პერიოდი, რომელიც აითვლება **ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის** დაწყების თარიღიდან და რომლის განმავლობაშიც **დაზღვეულს** არ აუნაზღაურდება ამ პერიოდში დამდგარ შემთხვევასთან დაკავშირებული ხარჯები;

1.36 **დაზღვევამდე არსებული დაავადება/მდგომარეობა** – თითოეული **დაზღვეულის ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის** წინამორბედი **უწყვეტი სადაზღვევო პერიოდის** დაწყებამდე დიაგნოსტირებული დაავადება/მდგომარეობა;

1.37 **უწყვეტი სადაზღვევო პერიოდი** – დროის შუალედი, რომელიც აითვლება უკუათვლით **ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის** დაწყების თარიღიდან და რომლის განმავლობაშიც პიროვნებას გააჩნდა (თუნდაც სხვადასხვა კერძო სადაზღვევო კომპანიების) დაზღვევა ისე, რომ ყოველ წინა და მომდევნო სადაზღვევო პერიოდებს შორის წყვეტა არ აღემატება 14 (თოთხმეტი) თანმიმდევრულ კალენდარულ დღეს;

1.38 **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი – დაზღვეულის** იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი დოკუმენტი, კერძოდ:

ა)საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და/ან პასპორტი;

ბ)უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირის შემთხვევაში უცხო ქვეყნის მოქალაქის **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;**

გ)მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ)არასრულწლოვანი ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობა და ერთ-ერთი მშობლის/მეურვის/მზრუნველის **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;**

1.39 **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;

1.40 **მიმართვა/საგარანტიო წერილი – მზღვეველის** და/ან პერსონალური ექიმის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც დამოწმებულ უნდა იქნას **მზღვეველის** მიერ უფლებამოსილი პირის და/ან პერსონალური ექიმის ხელმოწერითა და **მზღვეველის** და/ან **სამედიცინო დაწესებულების** ბეჭდით, რომელიც **დაზღვეულს** ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღოს ასეთ დოკუმენტში მითითებული და **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული კონკრეტული მომსახურება **ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის** დასრულებამდე;

1.41 **სამედიცინო ჩვენება** - ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც შესაბამისი საექიმო სპეციალობის/ სუბსპეციალობის (პროფილის) მქონე ექიმის (დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი) დანიშნულებით საჭიროებს სამედიცინო ჩარევას (მკურნალობას ან კვლევას);

1.42 **ჰოსპიტალური მომსახურება** – სტაციონარული მკურნალობა, რომლის ხანგრძლივობაც, **სამედიცინო ჩვენების** მიხედვით, აღემატება 24 (ოცდაოთხი) საათს;

1.43 **ამბულატორიული მომსახურება** – სამედიცინო მომსახურება, რომელიც, **სამედიცინო ჩვენების** მიხედვით, არ საჭიროებს **სამედიცინო დაწესებულებაში** 24 (ოცდაოთხი) საათზე მეტი ხნით დაყოვნებას.

1.44 **დღის სტაციონარი - დაზღვევის ხელშეკრულების** დანართი #2-ით (ან/და დანართი #2.1 და #2.2-ით თუ ასეთი დანართ(ებ)ი გათვალისწინებულია დაზღვევის ხელშეკრულებით) გათვალისწინებული დაავადებ(ებ)ის სტაციონარული მკურნალობა, მიუხედავად იმისა, სტაციონარში დაყოვნების ხანგრძლივობა აღემატება თუ არა 24 (ოცდაოთხი) საათს;

1.45 **აგრეგირებული ლიმიტი - ბარათში** მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს **ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის** განმავლობაში **მზღვეველის** მიერ **დაზღვეულის** სასარგებლოდ გასაცემი ჯამური სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმუმს **ბარათში** მითითებული ყველა ან რომელიმე **სადაზღვევო დაფარვისთვის.**

1.46 **ორმხრივი ხელშეკრულება - დაზღვევის ხელშეკრულება,** რომელიც გაფორმებულია, ერთი მხრივ, **მზღვეველს** და მეორე მხრივ, იურიდიულ ან ფიზიკურ პირს **(დამზღვევი)** შორის და რომლის თანახმადაც, **დაზღვეული** პირ(ებ)ის სასარგებლოდ **სადაზღვევო პრემიას** სრულად იხდის **დამზღვევი;**

1.47 **ორმხრივი ხელშეკრულება თანაგადახდით - დაზღვევის ხელშეკრულება,** რომელიც გაფორმებულია, ერთი მხრივ, **მზღვეველს** და მეორე მხრივ, იურიდიულ ან ფიზიკურ პირს **(დამზღვევი)** შორის და რომლის თანახმადაც, **დაზღვეული** პირ(ებ)ის სასარგებლოდ **სადაზღვევო პრემიის** ნაწილს იხდის **დამზღვევი**, ხოლო დარჩენილ ნაწილს - **დაზღვეულ(ებ)ი;**

1.48 **სამმხრივი ხელშეკრულება - დაზღვევის ხელშეკრულება,** რომელიც გაფორმებულია, ერთი მხრივ, **მზღვეველს**, მეორე მხრივ, ხელშეკრულების დანართი #3-ში მითითებულ პირებს **(დამზღვევ(ებ)ი)** და მესამე მხრივ, **დამსაქმებელს** შორის და რომლის თანახმადაც, **სადაზღვევო პრემიას** სრულად იხდის/იხდიან დანართი #3-ში მითითებული

მზღვეველი:_____ დამზღვევი/დამსაქმებელი:_____

პირ(ებ)ი საკუთარი ხარჯით, ხოლო აღიშნული პრემიის **მზღვეველისათვის** გადარიცხვას კი უზრუნველყოფს **დამსაქმებელი.**

2. **მხარეთა უფლება-მოვალეობები**

2.1 **მზღვეველი ვალდებულია:**

2.1.1 განახორციელოს დაზღვევა **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

2.1.2 გადასცეს **დამზღვევს/დამსაქმებელს ბარათ(ებ)ი** თითოეული **დაზღვეულისათვის დაზღვევის ხელშეკრულების** ძალაში შესვლიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

2.1.3 დროულად და სრულად გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება **დაზღვევის ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

2.2 **მზღვეველი უფლებამოსილია:**

2.2.1 მოსთხოვოს **დამზღვევს/დაზღვეულს/დამსაქმებელს დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვად შესრულება;

2.2.2 მოსთხოვოს **დამზღვევს/დაზღვეულს სადაზღვევო შესატანის (პრემია)** გადახდა **დაზღვევის ხელშეკრულებით** დადგენილი წესითა და ვადებში;

2.2.3 მოსთხოვოს **დამზღვევს/დაზღვეულს/დამსაქმებელს დაზღვევის ხელშეკრულების** დადებისათვის აუცილებელი ინფორმაციის წარდგენა მის მიერ დადგენილი ფორმით, მათ შორის, **დაზღვევის განაცხადის** შევსების გზით;

2.2.4 არ აანაზღაუროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯ(ებ)ი, რომელიც არ არის გათვალისწინებული **დაზღვევის ხელშეკრულებით;**

2.2.5 მოსთხოვოს **დამზღვევს/დამსაქმებელს დაზღვეულთან/დამზღვევთან** შრომითი/მომსახურების/სასამსახურო ხელშეკრულების/ურთიერთობის შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო მისი დაზღვევისას, მათ შორის, ხელახალი დაზღვევისას, მასთან შრომითი/მომსახურების/სასამსახურო ხელშეკრულების გაფორმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

2.2.6 უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე **დამზღვევის/დაზღვეულის/დამსაქმებლის** მიერ **დაზღვევის ხელშეკრულებით** ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

2.2.7 უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე თუ სამედიცინო მომსახურების გაწევა განხორციელდება **ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის** დასრულების შემდგომ, მიუხედავად იმისა, **ინდივიდუალური სადაზღვევო** პერიოდის დასრულებისას **სადაზღვევო შემთხვევა**/სამედიცინო მომსახურების მიღება დასრულებულია თუ არა;

2.2.8 მის მიერ უფლებამოსილი ექიმი-ექსპერტის მეშვეობით გამოკვლევა ჩაუტაროს **დაზღვეულს** და გაეცნოს (ასევე თუ საჭიროდ ჩათვლის გამოითხოვოს) მის ავადმყოფობის ისტორიას, ამასთან, **მზღვეველის** წარმომადგენელი უფლებამოსილია შეამოწმოს **სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულისთვის** გაწეული სამედიცინო მომსახურების მოცულობა და გაწეული ხარჯ(ებ)ი;

2.2.9 ნებისმიერ დროს შეცვალოს/**პროვაიდერთა** სიიდან ამოიღოს/დაამატოს **პროვაიდერი;**

2.2.10 **დამზღვევის/დამსაქმებლის** მიერ **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობ(ებ)ის გაყალბების ან გაყალბების მცდელობის გამოვლენის შემთხვევაში, თითოეული ასეთი შემთხვევის გამოვლენისას მოსთხოვოს **დამზღვევს/დამსაქმებელს** საჯარიმო სანქციის სახით, 5,000.00 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა. ამასთან, ასეთი შემთხვევ(ებ)ის დაფიქსირებისას, **მზღვეველი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს **დაზღვევის ხელშეკრულება** და მოითხოვოს ზიანის/ზარალის ანაზღაურება;

2.2.11 არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება **დაზღვეულის** მიერ (ან **დაზღვეულის** მონაწილეობით) **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომის ფაქტის და/ან ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტ(ებ)ის გაყალბების, ასევე, ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. ამასთან, ყოველი ასეთი ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, **მზღვეველი** უფლებამოსილია, საჯარიმო სანქციის სახით, მოთხოვოს **დაზღვეულს** 1,000.00 (ერთი ათასი) ლარის გადახდა და ამავდროულად, ცალმხრივად შეუწყვიტოს დაზღვევა, ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, პირგასამტეხლოს სახით მოითხოვოს 2,000.00 (ორი ათასი) ლარის გადახდა. პირგასამტეხლოს მოთხოვნა არ ართმევს **მზღვეველს** უფლებას, მოითხოვოს ზიანის/ზარალის ანაზღაურება;

2.2.12 იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ **დამზღვევმა/დამსაქმებელმა** რაიმე სახით მოახდინა იმ პირების დაზღვევა/დაზღვევის ხელშეწყობა, რომლებიც **დაზღვევის ხელშეკრულების** მიხედვით არ არიან მიჩნეულნი **დაზღვევას დაქვემდებარებულ პირებად** (არ იმყოფებიან მასთან შრომით/მომსახურების/სასამსახურო ურთიერთობაში ან არ წარმოადგენენ შესაბამის **ოჯახის წევრს), მზღვეველი** უფლებამოსილია, მოთხოვოს მას საჯარიმო სანქციის სახით 3,000.00 (სამი ათასი) ლარის გადახდა ყოველ ასეთ შემთხვევაზე, ამასთან, ასეთ პირ(ებ)თან დაკავშირებული **სადაზღვევო შემთხვევა** არ დაექვემდებარება **მზღვეველის** მიერ ანაზღაურებას, ხოლო

მზღვეველი: _____ დამზღვევი/დამსაქმებელი: _____

თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, **დამზღვევი/დამსაქმებელი** ვალდებულია, უპირობოდ დაუბრუნოს იგი **მზღვეველს**, ასეთ შემთხვევაში **მზღვეველი** უფლებამოსილია **დაზღვეულს** ცალმხრივად შეუწყვიტოს დაზღვევა ან ცალმხრივად სრულად შეწყვიტოს **დაზღვევის ხელშეკრულება;**

2.2.13 **დაზღვეულისთვის** სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების გაცემის შემდეგ, **მზღვეველი** იტოვებს უფლებას, მოითხოვოს შესაბამისი ხარჯების კომპენსაცია იმ პირთაგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან **დაზღვეულის** ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე;

2.3 **დამზღვევი ვალდებულია:**

2.3.1 უზრუნველყოს **სადაზღვევო შესატანის (პრემიის)** გადახდა **დაზღვევის ხელშეკრულებით** დადგენილი პირობების შესაბამისად. ამასთან, **ორმხრივი თანაგადახდით ხელშეკრულების** შემთხვევაში - უზურნველყოს **სადაზღვევო შესატანის (პრემიის) მზღვეველისათვის** გადახდა **დაზღვეულის** მიერ მისთვის შესაბამისი წერილობითი დავალების მიცემის საფუძველზე **დაზღვეულის** კუთვნილი ანაზღაურებიდან/ხელფასიდან **სადაზღვევო პრემიის (შესატანის)** ჩამოჭრის და **მზღვეველისათვის** გადარიცხვის გზით, ხოლო, **სამმხრივი ხელშეკრულების** შემთხვევაში - უზრუნველყოს **სადაზღვევო შესატანის (პრემიის) მზღვეველისათვის** გადახდა **დამსაქმებლისთვის** შესაბამისი წერილობითი დავალების მიცემის გზით, **დამსაქმებლის** მიერ მისი კუთვნილი ანაზღაურებიდან/ხელფასიდან **სადაზღვევო პრემიის (შესატანის)** ჩამოჭრის და **მზღვეველისათვის** გადარიცხვის გზით.

2.3.2 უზრუნველყოს **მზღვეველისათვის დაზღვევის ხელშეკრულების** დადებისათვის აუცილებელი უტყუარი ინფორმაციის წარდგენა **მზღვეველის** მიერ დადგენილი ფორმით, მათ შორის, **დაზღვევის განაცხადის** შევსების გზით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2.3.3 უზრუნველყოს **ბარათებისა** და **დაზღვეული** პირ(ებ)ისათვის განკუთვნილი ნებისმიერ ინფორმაციის/დოკუმენტაციის **დაზღვეული** პირ(ებ)ისათვის მიწოდება/გადაცემა;

2.3.4 გააცნოს **დაზღვეულ** პირ(ებ)ს **დაზღვევის ხელშეკრულებით** განსაზღვრული **დაზღვევის პირობები** და ის ვალდებულებები, რომლებიც ეკისრებათ **დაზღვევის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე;

2.3.5 დაუყოვნებლივ შეატყობინოს **მზღვეველს დაზღვეულ** პირთა სიაში მომხდარი ცვლილებების შესახებ **დაზღვევის ხელშეკრულების** მოთხოვნათა შესაბამისად;

2.4 **დამზღვევი უფლებამოსილია:**

2.4.1 **სადაზღვევო** შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს **მზღვეველისაგან** სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა **დაზღვევის ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

2.4.2 სადაზღვევო **ბარათის** დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, მოსთხოვოს **მზღვეველს** დაკარგული **ბარათის** დუბლიკატის გაცემა, რომლის ხარჯებსაც გაიღებს **მზღვეველი;**

2.5 **დაზღვეული უფლებამოსილია:**

2.5.1 მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება **მზღვეველისაგან დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

2.6 **დაზღვეული ვალდებულია:**

2.6.1 მიიღოს სამედიცინო მომსახურება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მქონე **სამედიცინო დაწესებულებებში;**

2.6.2 მის წილად გადასახდელი **სადაზღვევო პრემიის (შესატანის)** გადახდის მიზნით უზრუნველყოს **დამსაქმებლისთვის/დამზღვევისათვის** წერილობითი დავალების მიცემა, რათა **დამზღვევმა/დამსაქმებელმა** მოახდინოს მისი კუთვნილი ანაზღაურებიდან შესაბამისი **სადაზღვევო პრემიის (შესატანის)** დაკავება/ჩამოჭრა და **მზღვეველისათვის** გადარიცხვა (წინამდებარე დათქმა ვრცელდება მხოლოდ ორმხრივ (**თანაგადახდით**) და **სამმხრივ ხელშეკრულებებზე**), აღნიშნული პირობა ასევე ვრცელდება **დაზღვეულის** მიერ **საბაზისო ბარათის** გაუმჯობესების ან/და **დაზღვეულის ოჯახის წევრის** მიერ სადაზღვევო მომსახურების მიღების სურვილის შემთხვევაში (თუ ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებულია **დაზღვევის ხელშეკრულებით);**

2.7 **დამსაქმებელი ვალდებულია:**

2.7.1 **დაზღვევის ხელშეკრულებით** დადგენილ ვადებში უზრუნველყოს **დამზღვევ(ებ)ის** ხელფასიდან/ანაზღაურებიდან **სადაზღვევო შესატანის (პრემიის)** დაკავება და **მზღვეველისათვის** გადარიცხვა;

2.7.2 დაუყოვნებლივ შეატყობინოს **მზღვეველს** რომელიმე **დამზღვევთან** შრომითი/მომსახურების/სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტის და/ან რომელიმე **დამზღვევის** მიერ ხელფასიდან/ანაზღაურებიდან **სადაზღვევო პრემიის** დაკავების შესახებ წერილობითი დავალების გაუქმების ფაქტის შესახებ, რა დროსაც **მზღვეველი** უფლებამოსილია

მზღვეველი:_____ **დამზღვევი/დამსაქმებელი:**_____

დაუყოვნებლივ, ცალმხრივად შეუწყვიტოს **დამზღვევს** და **დამზღვევის** მიერ **დაზღვეულ** პირ(ებ)ს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაზღვევა;

2.7.3 განახორციელოს ყველა ქმედება, რაც ხელს შეუწყობს **დამზღვევ(ებ)ის** მიერ **დაზღვევის ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას (მათ შორის **სადაზღვევო პრემიის (შესატანის)** დროულად გადახდას;

2.7.4 გააცნოს **დამზღვევ(ებ)ს დაზღვევის ხელშეკრულებით** დადგენილი პირობები და **დამზღვევ(ებ)ის** მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს **დაზღვევის ხელშეკრულების** ასლების გადაღება და **დამზღვევ(ებ)ისთვის** გადაცემა;

3. **სადაზღვევო პრემიის გადახდის პირობები**

3.1 **სადაზღვევო პრემიის (შესატანის)** ოდენობა და მისი გადახდის წესი/გრაფიკი განისაზღვრება **დაზღვევის ხელშეკრულების** დანართი # 4-ით;

3.2 **სადაზღვევო პრემიის (შესატანის)** უცხოურ ვალუტაში დაფიქსირების შემთხვევაში, გადახდა მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად;

3.3 განვადებით ანგარიშსწორების შემთხვევაში, **დამზღვევის** მიერ მორიგი **შესატანის (პრემიის)** გადაუხდელობისას, **მზღვეველი** უფლებამოსილია, **დამზღვევს** განუსაზღვროს პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება **სადაზღვევო შემთხვევას** და გადახდა არ იქნება განხორციელებული, **მზღვეველი** თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობისას, **მზღვეველი** უფლებას იტოვებს, ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ცალმხრივად, შეტყობინების გარეშე, შეწყვიტოს **დაზღვევის ხელშეკრულება;**

3.4 სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში **დაზღვეულის** გარდაცვალების შემთხვევაში, თუ **დაზღვევის ხელშეკრულების** პირობების თანახმად დაფარულია გარდაცვალების რისკი, **სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას (**დაზღვეულის** გარდაცვალებისას) **დამზღვევი** ვალდებულია, **მზღვეველის** მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემამდე სრულად დაფაროს **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული, კონკრეტულ **დაზღვეულზე** გადასახდელი **სადაზღვევო პრემია,** წინააღმდეგ შემთხვევაში, **მზღვეველი** უფლებამოსილია, ანაზღაურების თანხას გამოაკლოს ასეთი **სადაზღვევო პრემია;**

4. **დაზღვევის პირობების ცვლილებების წესი**

4.1 **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ერთი სადაზღვევო **ბარათის** მეორეთი ჩანაცვლება (გულისხმობს როგორც **ბარათის** გაუმჯობესებას, ასევე გაუარესებას) (თუ ასეთ შესაძლებლობას **დაზღვევის ხელშეკრულება** ითვალისწინებს და **დაზღვეულს** არ აქვს მიღებული **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული რაიმე მომსახურება), **ოჯახის წევრის** სახით ახალი **დაზღვეულის** დამატება (თუ **ოჯახის წევრის** დაზღვევის შესაძლებლობა გათვალისწინებულია **დაზღვევის ხელშეკრულებით**) ან **დაზღვევის ხელშეკრულების** გაფორმების მომენტისათვის **დამზღვევის/დამსაქმებლის** არსებული თანამშრომლის ახალი **დაზღვეულის/დამზღვევის** სახით დამატება (თუ ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებულია **დაზღვევის ხელშეკრულებით**) შესაძლებელია მხოლოდ **დაზღვევის ხელშეკრულების** ძალაში შესვლიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში (თუ **დაზღვევის ხელშეკრულებით** სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული), ამასთან **ოჯახის წევრის** სახით ახალი **დაზღვეულის** დამატებისას ოჯახის წევრის დაზღვევა განხორციელდება მხოლოდ იმ ტიპის სადაზღვევო **ბარათით**, რომლითაც **დაზღვეულია** შესაბამისი **დამზღვევი/დაზღვეული** (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებულია კონკრეტული **დაზღვეულ(ებ)ის (ოჯახის წევრ(ებ)ის) ინდივიდუალური ბარათით** დაზღვევის შესაძლებლობა). **საერთო სადაზღვევო პერიოდის** განმავლობაში ახალმიღებული თანამშრომლ(ებ)ი, ექვემდებარებიან დაზღვევას **დამსაქმებელთან/დამზღვევთან** შრომით/მომსახურების/სასამსახურო ხელშეკრულების გაგაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ხოლო **ოჯახის წევრის** დაზღვევის შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ თავისსავე სადაზღვევო **ბარათის** ძალაში შესვლის პარალელურად. ზემოხსენებული ვადის მიუხედავად, მეუღლის და გერ(ებ)ის, **ოჯახის წევრის** სახით **დაზღვეულად** დამატება შესაძლებელია მხოლოდ **დაზღვევის ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში დაქორწინების შემთხვევაში ასეთი ფაქტის დადგომიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ახალშობილი შვილის შემთხვევაში – ბავშვის დაბადებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ხოლო ბავშის შვილად აყვანის შემთხვევაში - შვილად აყვანიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

4.2 თუ ხორციელდება **სადაზღვევო დაფარვის** შეცვლა ან ახალი **დაზღვეულის** დამატება, **დამზღვევი/დამსაქმებელი** აწოდებს **მზღვეველს** დასამატებელი/შესაბამისი პირის შესახებ **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ ყველა საჭირო მონაცემს (მათ შორის, **მზღვეველის** მიერ კონკრეტული **დაზღვეულის** შესახებ მოთხოვნილ დამატებით მონაცემ(ებ)ს) და **დამსაქმებელი** იხდის (უზრუნველყოფს) შესაბამისი პრემიის გადახდას, პროპორციულად გადაანგარიშებულს დარჩენილ სადაზღვევო პერიოდზე (შესაბამის ინდივიდუალურ სადაზღვევო პერიოდზე/პერიოდებზე). ამასთან, **დაზღვეულის** დამატება განხორციელდება ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი (4.2.1 ან 4.2.2) პირობის შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებული იქნება **დაზღვევის ხელშეკრულებით.**

4.2.1 თუ **დაზღვეულის** დამატება მოხდება:

ა) **დაზღვევის ხელშეკრულების (საერთო სადაზღვევო პერიოდის)** ძალაში შესვლიდან პირველი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, **დაზღვეულს** შესაძლებლობა ექნება, ისარგებლოს **ბარათით** განსაზღვრული სრული (100%) სადაზღვევო ლიმიტებით;

ბ) **დაზღვევის ხელშეკრულების (საერთო სადაზღვევო პერიოდის)** ძალაში შესვლიდან ექვსი თვის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ცხრა თვისა, **დაზღვეულს** შესაძლებლობა ექნება, ისარგებლოს **ბარათით** განსაზღვრული სრული სადაზღვევო ლიმიტების 70%-ით (სამოცდაათი პროცენტი);

გ) **დაზღვევის ხელშეკრულების** მოქმედების უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში, **დაზღვეულს** შესაძლებლობა ექნება, ისარგებლოს **ბარათით** განსაზღვრული სადაზღვევო ლიმიტების 40%-ით (ორმოცი პროცენტი);

4.2.2 თუ **დაზღვეულის** დამატება მოხდება:

ა) **დაზღვევის ხელშეკრულების (საერთო სადაზღვევო პერიოდის)** ძალაში შესვლიდან პირველი 10 (ათი) თვის განმავლობაში, **დაზღვეულს** შესაძლებლობა ექნება, ისარგებლოს **ბარათით** განსაზღვრული სრული სადაზღვევო ლიმიტებით, ამასთან, დაუშვებელია **დაზღვევის ხელშეკრულების** მოქმედების უკანასკნელი 2 (ორი) თვის განმავლობაში **დაზღვეულის** დამატება.

4.3 თუ ხორციელდება კონკრეტული **დაზღვეულის** ამოღება **დაზღვეულთა** სიიდან, **დამზღვევი/დამსაქმებელი** ვალდებულია, შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ **მზღვეველს** არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე;

4.4 წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელებისათვის მხარეთა შორის ფორმდება დანართი (მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მხარეები არ ისარგებლებენ წინამდებარე დანართის 10.4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებით), რომელიც გაფორმებისთანავე წარმოადგენს **დაზღვევის ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და შესაბამისი ცვლილება ძალაში შედის ამავე დანართში მითითებული თარიღიდან;

4.5 იმ შემთხვევაში, თუ **დაზღვევის ხელშეკრულების** მოქმედების **(საერთო სადაზღვევო პერიოდის)** განმავლობაში **დაზღვეულთა** რაოდენობის შემცირების გამო **დაზღვევის ხელშეკრულებით** გადასახდელი ჯამური **სადაზღვევო პრემიის** ოდენობა შემცირდება 30%-ით (ოცდაათი პროცენტი) ან მეტით, **მზღვეველი** უფლებამოსილია, გადახედოს **დაზღვევის ხელშეკრულების** პირობებს და დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის გაზარდოს **დამზღვევის** მიერ გადასახდელი **სადაზღვევო პრემიის** ოდენობა, ხოლო თუ **დამზღვევი** აღნიშნულის თაობაზე **მზღვეველის** შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული კვირის ვადაში წერილობით არ დაეთანხმება შეთავაზებულ წინადადებას, **მზღვეველი** უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს **დაზღვევის ხელშეკრულების** მოქმედება.

5. **ხელშეკრულების** შეწყვეტა

5.1 **დაზღვევის ხელშეკრულების (საერთო სადაზღვევო პერიოდი)** დაწყებისა და დასრულების ვადა განისაზღვრება **დაზღვევის ხელშეკრულებით;**

5.2 **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა)**მზღვეველის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება, ანუ შესაბამისი **ანაზღაურების ლიმიტის** სრულად ამოწურვა (კონკრეტულ **დაზღვეულთან** მიმართებაში), თუ შესაბამისი პრემია სრულად არის გადახდილი;

ბ)მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

გ)მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

დ)**კანონმდებლობით** და/ან **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

5.3 **დამზღვევის** მიერ **დაზღვევის ხელშეკრულების** მოქმედების ვადამე შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში ან თუ **მზღვეველის** მიერ **დაზღვევის ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა განპირობებულია **დამზღვევის/დამსაქმებლის** მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობით/არაჯეროვანი შესრულებით და/ან დარღვევით, **მზღვეველისთვის სადაზღვევო პრემიის** გადახდის საკითხი შემდეგნაირად რეგულირდება: თუ **დამზღვევის** მიერ სადაზღვევო ურთიერთობის შეწყვეტის სურვილი განპირობებულია მტკიცებულებ(ებ)ით დადასტურებული/დასაბუთებული პატივსადები მიზეზ(ებ)ით, **დამზღვევს** უბრუნდება **საერთო გამოუმუშავებელი პრემიის** გადახდილი ნაწილი, ხოლო განვადებით გადახდის შემთხვევაში, **დამზღვევი** არ არის ვალდებული გადაიხადოს დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის გათვალისწინებული **საერთო გამოუმუშავებელი პრემია (შესატანი)**, ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **საერთო გამომუშავებული სადაზღვევო პრემია დამზღვევის** მიერ გადახდას ექვემდებარება ნებისმიერ შემთხვევაში. ზემოხსენებული პატივსადები მიზეზების არარსებობის შემთხვევაში, ან, თუ **დაზღვევის ხელშეკრულების** შეწყვეტა მოხდა **მზღვეველის** ინიციატივით, რაც განპირობებულია **დამზღვევის/დამსაქმებლის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით/დარღვევით/არაჯეროვანი შესრულებით, **დამზღვევს** წარმოეშობა დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის გათვალისწინებული **სადაზღვევო პრემიის** ერთიანად სრულად დაფარვის მოვალეობა, ხოლო თუ ასეთი პრემია უკვე გადახდილია, იგი არ ექვემდებარება **დამზღვევისათვის** დაბრუნებას.

5.4 **სამმხრივი ხელშეკრულების** შემთხვევაში ერთი **დამზღვევის** მიმართ **დაზღვევის ხელშეკრულების** მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს დანარჩენ **დამზღვევებთან** მიმართებაში **დაზღვევის ხელშეკრულების** შეწყვეტას;

მზღვეველი:_____ დამზღვევი/დამსაქმებელი:_____

5.5 **სამმხრივი ხელშეკრულების** ხელმოწერით, **დამზღვევ(ებ)ი** უპირობოდ ანიჭებს/ანიჭებენ **დამსაქმებელს დაზღვევის ხელშეკრულებაში** ნებისმიერი ცვლილების განხორციელების უფლებამოსილებას (მათ შორის, მოახდინოს **დაზღვეულ(ებ)ის** დამატება ან/და **დაზღვეულ(ებ)ის დაზღვეულთა** სიიდან ამოღება). **დამსაქმებელი**, ასევე, უფლებამოსილია, **დაზღვეულ(ებ)ის** სახელით მოითხოვოს, როგორც **დაზღვევის ხელშეკრულების** ვადის გაგრძელება, ასევე ვადამდე შეწყვეტა; მომავალში ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **დამზღვევ(ებ)ი** დაზღვევის **სამმხრივ ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით ადასტურებენ, რომ **დამსაქმებელს** აქვს სრული უფლებამოსილება, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში მისი/მათი სახელით ხელი მოაწეროს **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ დაზღვევასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს.

6. **მხარეთა განცხადებები და გარანტიები**

6.1 **დაზღვევის ხელშეკრულების** ხელმოწერით **დამზღვევი/დამსაქმებელი** ადასტურებს და გარანტიას იძლევა, რომ:

6.1.1 **დაზღვევის ხელშეკრულება** მის მიერ დადებულია გონივრული განსჯის შედეგად;

6.1.2 **მზღვეველისგან** მიღებული აქვს ყველა აუცილებელი ინფორმაცია და განმარტება **დაზღვევის ხელშეკრულების** პირობებთან დაკავშირებით;

6.1.3 **დაზღვევის ხელშეკრულება** არ შეიცავს მისთვის ბუნდოვან პირობებს ან უჩვეულო ვალდებულებებს და/ან ჩანაწერს;

6.1.4 მას გააჩნია სრული უფლებამოსილება **დაზღვევის ხელშეკრულების** დასადებად და აღსასრულებლად;

6.1.5 იმ შემთხვევაში, თუ **დაზღვევის ხელშეკრულება** იდება მესამე პირთა (**დაზღვეულთა** სასარგებლოდ), მას მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი თანხმობა ასეთ მესამე პირ(ებ)ისაგან: (ა) **დაზღვევის ხელშეკრულების** დადებასა და მის/მათ სასარგებლოდ დაზღვევის განხორციელებაზე და (ბ) იმის თაობაზე, რომ **მზღვეველი** სრულად და შეუზღუდავად ისარგებლებს 2.2.8. ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებით;

6.1.6 იმ შემთხვევაში, თუ **დაზღვევის ხელშეკრულება** იდება მესამე პირთა (**დაზღვეულთა** სასარგებლოდ), იგი ზედმიწევნით სრულყოფილად აუხსნის და განუმარტავს მას/მათ **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ ყველა პირობას და ასევე, ყველა იმ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, რომელიც შესაძლოა, დაეკისროთ მათგან გამომდინარე;

6.1.7 მას გაცნობიერებული აქვს, რომ **დაზღვევის ხელშეკრულების** საფუძველზე შესაძლებელია მხოლოდ **დაზღვევას დაქვემდებარებულ პირთა** დაზღვევა.

6.2 **დამზღვევი/დამსაქმებელი** ადასტურებს, რომ გაცნობიერებული აქვს, რომ **მზღვეველი** მასთან **დაზღვევის ხელშეკრულებას** აფორმებს მის ზემოაღნიშნულ განცხადებებსა და გარანტიებზე დაყრდნობით.

6.3 **დაზღვევის ხელშეკრულების** ხელმოწერით **დამზღვევი/დამსაქმებელი** ადასტურებს, რომ **დაზღვევის ხელშეკრულების** ფარგლებში **დაზღვეულ(ებ)ის/დამზღვევ(ებ)ის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, **დამზღვევი/დამსაქმებელის** პასუხისმგებლობა **სოლიდარულია დაზღვეულ(ებ)ის/დამზღვევ(ებ)ის** პასუხისმგებლობისა;

7. **დავა, ზიანის ანაზღაურება**

7.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი - სასამართლოს მეშვეობით **კანონმდებლობის** შესაბამისად, ამასთან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **მზღვეველის** სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის თანახმად;

7.2. მხარეებს უფლება აქვთ, უთანხმოების მოგვარების მიზნით მიმართონ "სადაზღვევო გზამკვლევს" სატელეფონო ცხელი ხაზის ნომერზე: +995(32)2-555-155 ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე: gzamkvlevi@insurance.org.ge;

8. **ფორს-მაჟორი**

8.1 მხარეები თავისუფლდებიან **დაზღვევის ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი იყო ფორს-მაჟორული გარემოებების (სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო მანევრები, დივერსია, ასევე სხვა მოვლენები, რამაც მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად დააბრკოლა ან/და შეუძლებელი გახადა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება) დადგომა;

8.2 **დაზღვევის ხელშეკრულების** მოქმედება შეჩერდება ფორს-მაჟორული გარემოების დამთავრებამდე;

8.3 თუ ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობა/ზემოქმედება გრძელდება 3 (სამ) თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია, მოითხოვოს **დაზღვევის ხელშეკრულების** შეწყვეტა;

8.4 მხარის მოთხოვნის შემთხვევაში ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის/დასრულების დადასტურება უნდა განხორციელდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

მზღვეველი:_____ დამზღვევი/დამსაქმებელი:_____